



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშაქიძე”

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ფრიდონ შენგელია

ფ. შენგელია

“16” იანვარი 2024 წელი

N 2/36

ეგზ.: N1

საქართველოს პროკურატურის
2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
დანართები	მოსაზრება	4
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა გარემოებები	8
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13
	საკონტაქტო ინფორმაცია	31

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს - ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა – აჭარის პროკურატურა.

გენერალური პროკურატურა – საქართველოს გენერალური პროკურატურა

პროკურატურა – საქართველოს პროკურატურა.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები – ანგარიშის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები განხილულია, როგორც იარაღი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

N289 ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

N364 ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს პროკურატურა არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურატურის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა საქართველოს გენერალური პროკურატურის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსურ ანგარიშგებებს.

ცხრილი N1. ინფორმაცია საქართველოს პროკურატურის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ (ლარი)

დასახელება	თავდაპირველად დამტკიცებული	დაზუსტებული	% სხვაობა	საკასო
საქართველოს პროკურატურა	47,870,000	49,567,580	4% ¹	49,071,248
მომუშავეთა რიცხოვნობა	874			
ხარჯები	44,470,000	46,786,280	5%	46,416,492
მათ შორის: შრომის ანაზღაურება	33,318,000	32,652,000	-2%	32,539,156
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,400,000	2,781,300	-18%	2,654,756

ცხრილი N2. ინფორმაცია საქართველოს პროკურატურის მიერ 2022 წელს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ (ლარი)

საბალანსო ერთეულის დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	%
გენერალური პროკურატურა	47,155,393	96%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა	1,915,855	4%
ჯამი:	49,071,248	100%

¹ 2022 წელს საქართველოს პროკურატურის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პროკურატურის და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების (ერთად – ჯგუფის)² კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებს³ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი დასკვნის აბზაცში – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, საქართველოს პროკურატურის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების⁴ შესაბამისად.

² საქართველოს გენერალური პროკურატურა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული N1-N22 შენიშვნები.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლზე აღრიცხული 277,903 ლარის მოთხოვნებიდან, 51,700 ლარის დებიტორული დავალიანება⁵ ნაცვლად 2022 წლისა, ხარჯებში ჩამოიწერა 2023 წელს.⁶

შედეგად, პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 51,700 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

1.2 მატერიალური მარაგები 1.2.1 გამოუყენებელი ქონება

პროკურატურის ბალანსზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა 44,963 ლარის მატერიალური მარაგები,⁷ რომლებიც არ გამოიყენებოდა, მათგან შემდგომი სარგებლის მიღება ნაკლებად იყო მოსალოდნელი და არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.⁸ პროკურატურის განმარტებით, მარაგების ჩამოწერა არ განხორციელდა რისკების თავიდან არიდების მიზნით და ქონების შემდგომი განკარგვის პროცედურები დაიწყო 2023 წელს.⁹

1.2.2 ინვენტარიზაციის შედეგები

2022 წელს გენერალურ პროკურატურაში განხორციელებული მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის შედეგები¹⁰ ნაცვლად 2022 წლისა,¹¹ ასახულია 2023 წლის საანგარიშო პერიოდში. შედეგად, პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 26,105 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია მუხლი „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები“. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ხარვეზი გავლენას არ ახდენს მოკლევადიანი აქტივების საბოლოო ნაშთზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 71,068 ლარით, „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 26,105 ლარით და 44,963 ლარით შემცირებულია გაუფასურების ხარჯები.

1.3 ძირითადი აქტივები

პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლი შეადგენს 52,116,872 ლარს. ძირითად აქტივებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

⁵ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ 2022 წლის დეკემბერში გაწეული „IT მხარდაჭერის“ მომსახურება, მიღება-ჩაბარების აქტი N39/12, 21 დეკემბერი 2022წ.

⁶ N108 ინსტრუქციის, მე-7 მუხლის, პირველი პუნქტი.

⁷ გენერალური პროკურატურის ბალანსზე რიცხული სატიტულო ბლანკები, კარტრიჯები და სხვა მცირეფასიანი ქონება.

⁸ სსბას 1, პუნქტი 7.

⁹ 2023 წელს 19,180 ლარის მარაგები გადაეცა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ხოლო დანარჩენი ქონების შემდგომ განკარგვაზე მიმდინარეობს პროცედურები.

¹⁰ საქართველოს პროკურატურის საინვენტარიზაციო კომისიის ოქმი, 28.12.2022.

¹¹ N364 ბრძანება, მუხლი 13, პუნქტი 9.

1.3.1 გამოუყენებელი ქონება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი უძრავი ქონებით¹² უწყება ფაქტობრივად არ სარგებლობდა და ისინი არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.¹³ შედეგად, პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 176,926 ლარით. აუდიტის მიმდინარეობისას პროკურატურაში განხორციელდა ღონისძიებები აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით.¹⁴

1.3.2 აღურიცხავი ქონება

პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“¹⁵ მუხლზე არ არის შესაბამისი ღირებულებებით¹⁶ აღრიცხული უწყების სარგებლობაში არსებული მიწა, რომელიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული¹⁷ იყო პროკურატურის სახელზე. პროკურატურაში დაწყებულია ღონისძიებები¹⁸ ქონების შესაბამისი ღირებულებებით ასახვის მიზნით.

1.3.3 ცვეთა

პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის ცვეთის ხარჯი¹⁹ გაზრდილია 126,655 ლარით, ხოლო ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 272,333 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის ცვეთის ხარჯი გაზრდილია 126,655 ლარით, ხოლო „ძირითადი აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 145,303 ლარით.

1.4 არამატერიალური აქტივები

პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 1,171,706 ლარის არამატერიალური აქტივებიდან, 643,841 ლარის მოძველებული აქტივები, რომელთა შემდგომი გამოყენება არ იყო მოსალოდნელი, ნაცვლად 2022 წლისა,²⁰ ხარჯებში ჩამოიწერა 2023 წელს.²¹

შედეგად, პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „არამატერიალური აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 643,841 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „გაუფასურების ხარჯების“ მუხლი.

¹² შენობა-ნაგებობები და მიწა, საკადასტრო კოდი: 53.20.31.108.01.009; 05.23.24.021.

¹³ სსბასს 1, პუნქტი 7.

¹⁴ 2023 წლის 21 ნოემბრის წერილი N13/77965.

¹⁵ სსბასს 1, პუნქტი 7.

¹⁶ აუდიტის ჯგუფმა ქონების სავარაუდო ღირებულების გამოთვლისას (900*55,44=49,896) იხელმძღვანელა „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N1/4 დადგენილებით.

¹⁷ ქ.ფოთში არსებული 900 კვ.მ მიწა (საკადასტრო კოდი: 04.02.15.185), რომელიც პროკურატურას გადმოეცა 2022 წლის 19 მაისს.

¹⁸ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის მიმართვის წერილი N13/75926, 13.11.2023.

¹⁹ N289 ინსტრუქციით გათვალისწინებული ცვეთა შენობა-ნაგებობასა და ავტომანქანებზე.

²⁰ სსბასს 31, მუხლი 111, „ბ“ ქვეპუნქტი.

²¹ გენერალური პროკურორის 2023 წლის 11 ივლისის N113-გ ბრძანებით ვადაგასული ლიცენზიები ხარჯებში ჩამოიწერა 2023 წელს.

1.5 კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი

2022 წელს გენერალური პროკურატურის ბალანსზე რიცხული სპეციფიკური დანიშნულების აქტივების აფასება 465,839 ლარის ოდენობით, ნაცვლად კაპიტალის კორექტირებისა,²² აღრიცხულია მუხლზე „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აქტივების გადაფასების თარიღისა და გადაფასებული ღირებულების შესახებ.²³

შედეგად, პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი გაზრდილია 465,839 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია წმინდა აქტივების გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზი გავლენას არ ახდენს წმინდა აქტივების საბოლოო ნაშთზე.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ აუდირებული ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

²² N108 ინსტრუქციის მე-10 მუხლის 27¹ პუნქტი.

²³ N108 ინსტრუქციის მე-10 მუხლის 28-ე პუნქტი.

2. სხვა გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პროკურატურის წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა და შესაბამისად, შესადარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

2.1 კლასიფიკაციის ხარვეზები

პროკურატურის მიერ სრულყოფილად არ იყო გათვალისწინებული 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან²⁴ დაკავშირებული სსბასს-ების მოთხოვნები, კერძოდ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, ანალოგიური მუხლების განსხვავებული წარდგენის შედეგად,²⁵ პროკურატურის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში მუხლი „შემოსავლები შიდა ტრანსფერებით“ წარმოდგენილია შემცირებულად – 1,915,855 ლარით, მუხლი „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ გაზრდილია 1,904,877 ლარით, ხოლო მუხლი „შემოსავლები გრანტებით“ გაზრდილია 10,978 ლარით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ხარვეზი გავლენას არ ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგზე.
- ✓ პროკურატურის ბალანსზე რიცხული სპეციფიკური დანიშნულების აქტივები²⁶ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში²⁷ ნაცვლად მუხლისა „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, ასახული იყო მუხლზე „სამხედრო იარაღის სისტემები“, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობით,²⁸ საქართველოს პროკურატურის ფუნქციას არ წარმოადგენს თავდაცვის მომსახურების მიწოდება.²⁹ საგულისხმოა, რომ აღნიშნული ხარვეზი გავლენას არ ახდენს ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთზე.
- ✓ 2022 წელს გენერალური პროკურატურის მიერ 21,213 ლარის მატერიალური მარაგები, რომლებიც გახარჯული იყო საანგარიშოს წინა პერიოდში ნაცვლად წმინდა აქტივების საწყისი ნაშთების გადაანგარიშებისა,³⁰ ხარჯებში ჩამოწერილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლზე. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ხარვეზი გავლენას არ ახდენს „მატერიალური მარაგების“ და „წმინდა აქტივების“ მუხლების საბოლოო ნაშთზე.

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლი.

²⁵ სსბასს 35, პუნქტი 40.

²⁶ 436,777 ლარი.

²⁷ შენიშვნა N6, „ძირითადი აქტივები“.

²⁸ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის II თავი.

²⁹ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „სამხედრო იარაღის სისტემები“ წარმოადგენს წარმოებულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება თავდაცვის მომსახურების მიწოდების მიზნით.

³⁰ სსბასს 3, 46-ე და 47-ე პუნქტები.

2.2 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2.2.1 განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები

პროკურატურის ბალანსზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 527,865 ლარის განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები³¹ არ იყო შემოწმებული გაუფასურებაზე³² და განმარტებით შენიშვნებში არ იყო აღწერილი სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილებების შინაარსი³³ და ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განუსაზღვრელად მიჩნევაში.³⁴

2.2.2 არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები

პროკურატურაში 2022 წლის არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო ასახული N364 ინსტრუქციის გათვალისწინებით.³⁵ პროკურატურის განმარტებით, ვინაიდან ქონების ფიზიკური მდგომარეობა უცნობია და აქტივები ტექნოლოგიურად მოძველებულია, ვერ მოხერხდა მათი რეალური ღირებულების დადგენა, ხოლო აქტივების შეფასება, იმ დროისთვის, მისი მოცულობიდან გამომდინარე, არ იქნებოდა ეფექტიანი და წარმოშობდა დამატებით ხარჯებს.³⁶ აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.³⁷

2.3 სააღრიცხვო პოლიტიკა

2022 წელს პროკურატურის მიერ არ იყო დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა.³⁸ აუდიტის შედეგად გამოვლინდა აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული შემდეგი ნაკლოვანებები:

- ✓ პროკურატურის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი ძირითადი აქტივის³⁹ ცვეთის ნორმები არ იყო დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკით.⁴⁰ საგულისხმოა, რომ სპეციფიკური დანიშნულების აქტივების ცვეთის საკითხი ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი საერთო ხასიათის პრობლემაა. პროკურატურის განმარტებით, უწყებას არ გააჩნია ცვეთის ნორმის დადგენის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსები.
- ✓ პროკურატურის მიერ არ განხორციელებულა ზოგიერთი ძირითადი აქტივის⁴¹ სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა,⁴² რომლის შედეგად 2022 წელს დარიცხული ცვეთით,⁴³ აქტივების ნარჩენი ღირებულება ნულს გაუტოლდა.

³¹ მათ შორის, 440,507 ლარის მუდმივი ლიცენზიები ბალანსზე აყვანილია 2022 წელს, ხოლო 49,593 ლარის არამატერიალური აქტივები (ვებგვერდი, ვიდეორგოლები) სააღრიცხვო შეფასების ცვლილებით მიჩნეულ იქნა განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონედ.

³² სსბასს 21, მუხლი 26ა.

³³ სსბასს 3, მუხლი 44. 2022 წელს 49,593 ლარის არამატერიალური აქტივები სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შედეგად მიჩნეულ იქნა განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებად.

³⁴ სსბასს 31, მუხლი 121, „ა“ ქვეპუნქტი.

³⁵ N364 ინსტრუქციის მე-13 მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტები.

³⁶ აქტივები 2023 წელს აღირიცხა გარე საბალანსო ანგარიშზე.

³⁷ სსბასს 3, მუხლი 24.

³⁸ N108 ინსტრუქციის მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტი.

³⁹ მაგალითად: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხულ 436,777 ლარის ნარჩენი ღირებულების სპეციფიკური დანიშნულების აქტივებსა და 64,579 ლარის ნარჩენი ღირებულების მზის ენერგიის პანელზე 2022 წელს დარიცხულმა ცვეთამ, ჯამურად შეადგინა 63,510 ლარი.

⁴⁰ N289 ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 5.

⁴¹ სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.

⁴² სსბასს 17, მუხლი 67.

⁴³ 68,171 ლარი.

- ✓ პროკურატურაში არ იყო შემუშავებული შიდა წარმოშობის არამატერიალურ აქტივებზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა⁴⁴ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო აღიარებული არამატერიალურ აქტივებად.⁴⁵
- ✓ 2022 წელს გენერალური პროკურატურის ცენტრალურ საწყობში მიღებული მარაგების აღრიცხვისთვის არ გამოიყენებოდა სპეციალიზებული სასაწყობო პროგრამა⁴⁶ და არ იყო დამტკიცებული მატერიალური მარაგების სააღრიცხვო პოლიტიკა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების და პროცედურების დანერგვა მნიშვნელოვანია აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის. პროკურატურაში მიმდინარეობს ღონისძიებები სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

2.4 უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხარვეზები

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მნიშვნელოვანია აქტივების არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან დასაცავად.⁴⁷

პროკურატურის 2022 წლის 31 დეკემრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლში ასახულ ზოგიერთ უძრავ ქონებაზე,⁴⁸ რომლითაც ფაქტობრივად სარგებლობდა უწყება, საკუთრების უფლება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. აუდიტის მიმდინარეობისას, პროკურატურაში განხორციელდა ღონისძიებები⁴⁹ ქონების რეგისტრაციის მიზნით.

⁴⁴ ხუთი დასახელების პროგრამა.

⁴⁵ სსბასს 31, მუხლი 70.

⁴⁶ წარმოდგენილი განმარტებით, მიმდინარეობს პროგრამის დანერგვა.

⁴⁷ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴⁸ ოთხი ერთეული შენობა-ნაგებობა და მიწა.

⁴⁹ აჭარის პროკურატურის ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი დანიშნულების ორი ერთეული შენობა-ნაგებობა 2023 წლის 29 ნოემბერს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში (საკადასტრო კოდი: 05.01.07.002.01.012; 05.21.06.001.01.016), ხოლო ქ. თელავში მდებარე ქონების (საკადასტრო კოდი: 53.20.47.562) რეგისტრაციის მიზნით დაწყებულია ღონისძიებები (2023 წლის 24 ნოემბრის N13/78621 წერილი).

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას, ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ

ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა პროკურატურის ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს პროკურატურის ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს პროკურატურისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

ხელმოწერა

ვახტანგ პერტაია

მთავარი აუდიტორი

რუსუდან აბულაშვილი

აუდიტორი

მიხეილ ზავრაშვილი

აუდიტორი

3. [Signature]
[Signature]
[Signature]

1	ანგარიშვალდებული ერთეული (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საქართველოს პროკურატურა
2	ანგარიშვალდებული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	თბილისი, გორგასლის ქუჩა N24, 0114
3	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	204398302
	ორგანიზაციული ფორმა	საბიუჯეტო
	დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი
6	ანგარიშგების ტიპი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
7	ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური
8	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბრისათვის 07.06.2023
9	ერთეულების მომცველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)	1. საქართველოს გენერალური პროკურატურა 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა
10	ძირითადი საქმიანობების ჩამონათვალი	1. სისხლისსამართლებრივი დევნა 2. გამოძიება და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა 3. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 4. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობა 5. თავისუფლებადგვითი და თავისუფლებამზღუდულ პირთა უფლებების დაცვა 6. პროკურორის სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წარმოებაში 7. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია, სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაულის პრევენცია 8. სტრატეგიული განვითარების მხარდაჭერა
11	საანგარიშგებო ვალუტა	ლარი
12	დამრგვალების დონე	ერთეული
13	ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ია გიგოლაშვილი ტელ: 593198705 ელ-ფოსტა: igigolashvili@pog.gov.ge

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი:

შიდა პოლიტიკით გაწესებული სხვა
უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის
შემთხვევაში):

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ი. გიგოლაშვილი
3.13.23

საქართველოს პროკურატურა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - 2022

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი - 2022	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი - 2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	245	-
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2ა	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2ა	15 866	30 207
004	მატერიალური მარაგები	N3	574 573	851 149
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	277 903	145 304
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		868 588	1 026 660
გრძელვადიანი აქტივები				
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	-	-
008	ძირითადი აქტივები	N6	52 116 872	49 792 362
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	1 171 706	731 199
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N10	-	-
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N11	-	-
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		53 288 578	50 523 561
015	სულ აქტივები		54 157 165	51 550 221
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
017	მოკლევადიანი წესდებები თანხები	N12	-	-
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N13ა	60	16 167
019	გადასახდელი პროცენტი	N13ა	-	-
020	მიმდინარე ანარიცხები	N13ბ	-	-
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13ა	-	-
022	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით	N13ა	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		60	16 167
გრძელვადიანი ვალდებულებები				
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
025	გრძელვადიანი წესდებები თანხები	N12	-	-
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით	N10	-	-
027	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N9	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13ბ	-	-
029	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13ა	-	-
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
031	სულ ვალდებულებები		60	16 167
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
032	საწესდებო კაპიტალი		-	-
033	გაუნაწილებელი ნაშთი/დეფიციტი		54 157 107	51 534 054
034	რეზერვები		-	-
035	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		54 157 107	51 534 054
036	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		54 157 165	51 550 221

¹ მითითებულ შენიშვნებში აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი:

შიდა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: -

ნ. ივანიშვილი
3.1.15

თარიღი: 07.06.2023

საქართველოს პროკურატურა - 2022
ფინანსური შედეგების ანგარიშგება

სტრუქტურული ნიშნების კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საანგარიშგებო პერიოდის ზრუნვა 2022		წინა საანგარიშგებო პერიოდის ზრუნვა 2021
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
შემოსავლები					
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	-	-	-
002	სოციალური შენატანები				
003	შემოსავლები სასაქონლო, ჯარიმებით და საურავებით	N14 ბ	3 167	-	3 167
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	3 148 317	-	3 148 317
005	ტრანსფერები და სხვა არავალდებულებული შემოსავლები	N14 ბ, N15 ა	3 477 911	-	3 477 911
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 ბ	47 155 393	-	47 155 393
007	შემოსავლები გაცემითი იმერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებისა	N15 ა	-	-	-
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	N15 ბ, N17 ა, 2	-	-	-
009	საპროცენტო შემოსავლები	N15 ა	-	-	-
010	გაუფასურების უკუგაქვრებით შემოსავლები	N16	-	-	55 663
011	სხვადასხვა შემოსავლები	N18	493	-	1 098 370
012	სულ შემოსავლები		53 785 280	-	44 755 198
ხარჯები					
013	შრომის ანაზღაურება	N17 ა	32 539 156	-	28 860 137
014	საქონელი და მომსახურება	N17 ა	12 339 249	-	8 832 808
015	გრანტები	N17 ბ	1 136 027	-	39 420
016	სუბსიდიები	N17 ბ			
017	ტრანსფერები და სხვა არავალდებულებული ხარჯები	N17 ა	2 182 499	-	1 890 819
018	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	N17 ა	5 793	-	3 106
019	ცვდითი და ამორტიზაცია	N17 ა	2 323 374	-	2 150 749
020	სოციალური დახმარება/ფინანსური დახმარება	N17 ა	619 251	-	288 873
021	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან	N15 ბ, N17 ა, 2	-	-	
022	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	N17 ა	-	-	-
023	გაუფასურების ხარჯები	N16	15 989	-	1 361 895
024	სხვადასხვა ხარჯები	N18	890	-	37 864
025	სულ ხარჯები		51 162 228	-	43 465 669
026	პერიოდის ნამუტი (დეფიციტი)		2 623 053	-	1 289 529

¹ მითითებულ შემთხვევებში არის აღნიშნული შემთხვევების ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია
² არის აღნიშნული შემთხვევების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები შორის სხვაობა

სტრუქტურული

მთავარი ბუღალტერი:

რ. დიმიტრეა

შიდა პოლიტიკური განსაზღვრული სხვა

უფლებამოსილი პირი (სტრუქტურული არსებობის

შემთხვევაში):

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

3

საქართველოს პროკურატურა
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდი - 2022

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი ნაშები/დეფიციტი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბოლოო	არასაბოლო		
001	საწყისი ნაშთი			51 047 933	-		51 047 933
002	საპროცესო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1					
003	წინა პერიოდების არსებითი შედიმების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1		486 121			486 121
004	კორექტირებელი ერთეულები გადაფასების შედეგად	N1					
005	კორექტირებელი კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1					
006	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი			51 534 054	-		51 534 054
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება							
007	კაპიტალში შექცევები						
008	კაპიტალის ამოღება						0
009	რეზერვების ზოგადი ცვლა	N5					
010	კუთვნილების ნაშტი დეფიციტი			262 3053			262 3053
011	რესტრუქტურისაგან განსხვავებული იაშვები						0
012	საბოლოო ნაშთი			54 157 107	-		54 157 107

წინა საანგარიშგებო პერიოდი - 2021

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი ნაშები/დეფიციტი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბოლოო	არასაბოლო		
001	საწყისი ნაშთი			49 508 003			49 508 003
002	საპროცესო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1					
003	წინა პერიოდების არსებითი შედიმების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1		250 401			250 401
004	კორექტირებელი ერთეულები გადაფასების შედეგად	N1					
005	კორექტირებელი კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1					
006	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი			49 758 404	-		49 758 404
